
შპს „მირკაანი“

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება
ერთეულ ლარში

შპს „მირკაანი“

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
სრული შემოსავლის ანგარიშგება
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ზოგადი ინფორმაცია	2
2.	კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	2
3.	ძირითადი საშუალებები	3
4.	არამატერიალური აქტივები.....	5
5.	ფული და ფულის ეკვივალენტები.....	5
6.	მარაგები	6
7.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	6
8.	შემოსავალი	6
9.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	7
10.	ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები და სესხები	8
11.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8
12.	გადასახადები.....	8
13.	აქტივების გაუფასურება	9
14.	ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
15.	კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის	9
16.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან,	10
17.	ბალანსის შემდგომი მოვლენები	10
18.	ანგარიშგების წარდგენის თარიღი.....	11

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მირკაანი“ (404467046) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სატვირთო საავტომობილო გადაზიდვა-მომსახურება. კომპანია დაფუძნდა 2014 წელს. დამფუძნებელი, 100% - იანი წილის მფლობელი და დირექტორი ზაალ კუჟერაშვილი

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ვირსალაძის ქ2/4

ფაქტური მისამართი - საქართველო, ქ.თბილისი, ვირსალაძის 2/4

2. კომპანიის მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი საადრიცხო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

FINANSURI

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული საადრიცხო პრინციპების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

2019, 2020, წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2019 წლის 1 იანვრისათვის	2.6766	3.0701

საკურსო უარყოფითი სხვაობა 2020 წლის ბოლოს შეადგენს 283006 ლარს

3. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, სახის სხვა დანახარჯის სახით, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
ნაგებობა-მოძრავი აქტივი	20 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-12 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა, რაც გაწერილია სააღრიცხვო პოლიტიკით

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

ვინ კოდი	ავტოტრანსპორტი საშუალება	2019	2020
XLRE47XSOE718580	DAF XF 95.430 - ა/მ	12853.46	12853.46

WKOSKMP24Y0160468	KOEGEL SKMP 24 - მისაბ.	6478.20	6478.20
WO9213334Y0G22104	SCHMITZ SK124/7.2 - მისაბ.	6478.20	6478.20
VF622GVA000146059	RENAULT PREMIUM 420 - ა/მ	7743.55	7743.55
WDB9440321K908964	MERSEDES-BENZ AXOR 1840- ა/მ	13924.57	13924.57
VF622GVA000147311	RENAULT 420 DCI - ა/მ	11523.79	11523.79
VHRS3803C22C05105	ROBUSTE KAISER S3803V	11725.87	11725.87
WLASKA3352WF56604	LANGENDORF SK24/29	11394.61	11394.61
WDB9440321K922588	MERSEDES-BENZ AXOR 1840 - ა/მ	17329.84	17329.84
W090009MM1HM09740	MEIERLING MSK 24	10109.07	10109.07
W09213334Y0G22002	SCHMITZ SK124/7.2 - მისაბ.	11016.36	11016.36
VF622GVA000145563	RENAULT 420 DCI - ა/მ	15574.85	15574.85
VF622GVA000143161	RENAULT 420 DCI	14299.33	14299.33
VF622GVA000135810	RENAULT PREMIUM 420	15507.20	15507.20
VF622GVA000152202	RENAULT PREMIUM 420 DCI	15393.70	15393.70
WSK00000001202888	Kipper S CHMIZ	14637.28	14637.28
W09LSK335XBF53004	FBL LSK	11914.04	11914.04
W09213334XOG22335	SCHMITZ SKI 24/7.2	12290.23	12290.23
NALTC0300D0011542	თვითმცლელი ნახევარმისაბმე ლი - MARAL DS00002	30187.50	30187.50
NALTC0300D0082480	თვითმცლელი ნახევარმისაბმე ლი - MARAL DS00002	30187.50	30187.50

YV2A4CEA85B395090	VOLVO FH12	25967.34	25967.34
YV2AP40A36B411945	VOLVO FH12	25967.34	25967.34
YV2AS02A26B429115	VOLVO FH13.440E3	26498.49	26498.49
YV2AS02AX7B444687	VOLVO FH13.440 E3	26498.49	26498.49
VV1P3AA0BSN130069	ნახევარ მისაბმელი	13436.83	13436.83
VV1P3AA0BSN130066	ნახევარ მისაბმელი	13436.83	13436.83
რენატის	ა/მანქანა რენატის კაბინა	1125.00	1125.00
40	კონტეინერი 40	3364.96	3364.96
		419576	416864

4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები კომპანიას არ გააჩნია.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს საღაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს.

	2019	2020
ნაღდი ფული საღაროში	45387.4	5910.77
ფული საბანკო ანგარიშებზე	83235.6	110987.7

6. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

კომპანია მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების ნაშთი შესდგება მხოლოდ საწვავისგან რასაც კომპანია ხარჯავს საკუთარი მოხმარებისთვის, რადგან მისი ძირითადი საქმიანობაა გადაზიდვა სატრანსპორტო მომსახურება

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

8. შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, **მომსახურების გაწევა**

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

ყველა მომსახურების გაწევაზე დგება ხელშეკრულება და სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტი.

	2019	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან		65 654.54
შემოსავალი გაწეული სატრანსპორტო მომსახურებიდან /გადაზიდვ	2299241	1 319 365.35
შემოსავალი /საერთაშორისო გადაზიდვა/		1 091 274.74
საშემოსავლოს შეღავათი (KOVID 19)		2 970.00
დაზღვევა ზარალის ანაზღაურება		17 978.20
განსაკუთრებული შემოსავლები		701.47
სხვა საოპერაციო შემოსავლები		113.92
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი-საკურსო		10 138.84

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

	2019	2020
შრომის ანაზღაურება	398753	470 119.11
კომუნალური	1780	3 918.68
ბანკის მომსახურების საკომისიო	4785	4 984.58
მივლინების ხარჯი	54700	85 367.20
გაყიდული/შეძენილი საქონელი	28189	62 341.66
სოციალური დანარიცხები		4 229.69
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	859948	655 728.54
გზის გადასახადი 200 ლარიანი	14200	36 940.67
საწვავის ხარჯი	457610	746 811.33
საიჯარო ძირა	9861	1 080.00
საოფისო ინვენტარი და სამუშაო ხარჯი-გაფორმება	9361	3 376.09
კომუნიკაციის ხარჯები	8750	10 977.52
დაზღვევა	7800	8 923.76
კომპიუტერის ხარჯები	1254	627.12
საკონსულტაციო -GPS- ხარჯები	301	387.08
სხვა საერთო ხარჯი-წარმომადგენლობითი	3847	7 333.46
6588042 %		29 718.76
6588058 %		9 985.28
6588074 %		3 369.32
სესხის ^ ტერა ბანკი	55806	42 723.74
რესტრუქტურისაცია / სესხები/ სხვა გადასახადები		24928,47
არასამოქმედო ხარჯი- საკურსო		5 177.93
ავტო მანქანების სატელეფონო ნაწილები და მომსახურება	278205	309 286.36
საკურსი სხვაობა		283006

მოგეხსენებათ ბუღალტრული და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის ძირითადად გამოიყენება ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გაიანგარიშება ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემის Bmatch პლატფორმაზე დადებული გარიგებების მიხედვით და ყოველდღიურად ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. ბოლო პერიოდში ლარის მკვეთრი გაუფასურების გავლენით საწვავზე გაზრდილი ფასები ჩვენს კომპანიის მოგება ზარალზეც აისახა , გაიზარდა ხარჯი რადგან ჩვენი კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სატრანსპორტო მომსახურება -ტვირთების გადაზიდვა ლარის გაუფასურებამ გაზარდა ასევე სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი .

10. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები და სესხები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

კომპანიის სასესხო ვალდებულებები:

		2019	2020
3210 1	სისსი ხელშეკრ 6588042 საქ ბანკი		760323.11
3210 2	სისსი ხელშეკრ 6588058 საქ ბანკი		251456.25
3210 3	სისსი ხელშეკრ 6588074 საქ ბანკი		114932.69
4140	გრძელვადიანი სისხები	692123.85	0

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

12. გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაკავშირებულ დანახარჯებზე და სხვა. კომპანიას დივიდენდი არ გაუცია მიმდინარე პერიოდებში გადახდილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

კომპანიას საგადასახადო ვალდებულება ერიცხება 12189 ლ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

13. აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების საფუძველზე, საწარმო გაუფასურების ზარალს /მოგებას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ბალანსის შემდგომ მოვლენებში

14. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

15. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ პირველად წარადგინა მსს ფასს-ების მიხედვით. კომპანია ცვეთას ითვლიდა საგადასახადო მოგების (ზარალის) განსაზღვრისათვის. წარდგენის მიზნებისთვის დაკორექტირდა მიმდინარე და წინა წლების ცვეთა და ამორტიზაცია, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან,

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

.დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2018 2019 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია


17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

კომპანიას ბოლო სამი წლის განმავლობაში არ განუსაზღვრავს აქტივების გაუფასურების შედეგი, აქედან გამომდინარე 2021 წელს მომსახურე ბანკთან ერთად /სესხების უზრუნველყოფა / განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

18. ანგარიშგების წარდგენის თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და გამოსაცემად მზად არის 2021 წლის 15 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	116899	128623	20468
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	40827	75824	20549
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6084	0	0
მარაგები	4255	1109	11331
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	4255	1109	11331
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	79429	3259	5734
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	416864	419576	462878
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	664358	628391	520960
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	165358	156283	90402
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	12189	18697	28180
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1126712	746988	800046
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	1304259	921968	918628
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	17500	17500	17500
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-657401	-311077	-415168
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-639901	-293577	-397668
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	664358	628391	520960
სულ მოკლევადიანი აქტივები	1	1	1
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
დირექტორი: ზ. კეჭერაშვილი			



MIRKAANI LTD
404467046
 fl.34, 2/4, S.Virsaladze str.
 TBILISI, GEORGIA

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	2508197	2299241
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	2476295	2299241
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	31902	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1027357	-859948
საწყისი მარაგები	0	-11331
მარაგების შესყიდვა	0	-849726
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	1109
საერთო მოგება	1480840	1439293
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-470119	-398753
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	-46858
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-99300	-55806
იჯარის ხარჯი	-1080	-9861
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-925303	-823924
სულ საოპერაციო ხარჯები	-1495802	-1335202
საოპერაციო მოგება	-14962	104091
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და		
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-283006	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-48356	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	-346324	104091
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-346324	104091
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-346324	104091
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-293577	-397668
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-639901	-293577

დირექტორი: ზ. კეჟერაშვილი



MIRKAANI LTD
404467046
 fl.34, 2/4, S.Virsaladze str.
 TBILISI, GEORGIA

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	271282	108155
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	271282	108155
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-283006	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	128623	20468
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	116899	128623

დირექტორი: ზ. კეჭერაშვილი

